

## ჯანმრთელებითი ბარათი

„პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის, პარლამენტის წევრისა და პარლამენტის აპარატის მოხელის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

„პარლამენტის წევრის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევის, პარლამენტის წევრისა და პარლამენტის აპარატის მოხელის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის III<sup>1</sup> თავით განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს პარლამენტთან არსებული ისეთი ორგანიზაციის მოხელეთა საპენსიო უზრუნველყოფას როგორცაა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მოხელეები.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული კანონი უნდა გაერცვლდეს აღნიშნული ორგანიზაციის მოხელეებზეც, ვიანიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად იგი წარმოადგენს მასთან არსებულ სტრუქტურულ ერთეულს. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბჭოში დასაქმებულ მოხელეთა როგორც სახელფასო განაკვეთები, ისე ხელფასზე დანამატები განსაზღვრულია იმავე მოცულობით, როგორც პარლამენტის მოხელეებზე, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის ბიურო.

სწორედ ზემოაღნიშნულს ემსახურება წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლის თანახმადაც პარლამენტის აპარატის მოხელის საპენსიო უზრუნველყოფას დაექვემდებარება აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მოხელეც.

### კანონპროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

კანონპროექტი იწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას 13 080 ლარით. კერძოდ: კანონპროექტის ამოქმედებიდან საპენსიო უზრუნველყოფას დაექვემდებარება აუდიტორული საბჭოს 3 მოხელე. მათი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ხელფასი) მთლიანობაში შეადგენს 2 180 ლარს, ხოლო 6 თვეში 13 080 ლარს.

### კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.